


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობივ ბუქდ-უჯი სიფყვას, ცუქილებით და ქაბუბით ბუბ-თის გაფანა ყუელა უჯადისბაზუ უსაბაგლუისა.

შაბათი, 22 ივლისი. 2017 წ. №148 (8285), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

ოკუპანტებმა „საზღვარი“ ხნულით მონიშნეს!

რუსმა ოკუპანტებმა კასპის რაიონის სოფელ ყა-რაფილასთან ე.წ. საზღვარი ხნულით მონიშნეს. მე-საზღვრეებმა სამუშაოები გუშინ დაიწყეს. ხნულია გავლენიანი ოკუპირებულ სოფელ ორჭოსანიდან სამ-სრეთის მიმართულებით, სოფელ ყარაფილასთან და მდინარე თორთლას გასწვრივ.

მომხდარს ადასტურებს კასპის მუნიციპალიტეტ-ში სოფელ კოდისწყაროს წარმომადგენელი გია გო-ჭოშვილი. ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულის გავლე-

ბას ოკუპირებული ორჭოსანის მონაკვეთზე ადასტუ-რებენ აგრეთვე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსა-ხურში.

აღნიშნული ქმედება არის ბორდერიზაციის უკა-ნონო პროცესის გაგრძელება, რომელიც ზღუდავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და მიზანმიმარ-თულად აზიანებს ადგილზე უსაფრთხოების გარემოს. როგორც უწყებაში ამბობენ, ეს საკითხი ერგენტის მო-მავალ შეხვედრაზე განიხილება.

„რუსეთს მხოლოდ ორი მოკავშირე ჰყავს, ფლოტი და არმია!“



დემიტრი ქუმსიუვილი: „რუსთაპი-2-ს“ გააჩნია დაპატიმრება, მიმდინარეობს მოლაპარაკება გადასახლებაზე!

მინისტრი იმედოვნებს, რომ სამაჟინტო კომპანი-ასთან გადასახლების გა-დახდის „გონივრულ გრა-ფიკს“ შეიმუშავენ.

„მე პირადად, მიმაჩნია, რომ ეს არის არაკონკურენ-ტული გარემო. ამას უკვე აღარ ვამბობ, როგორც ფი-ნანსთა მინისტრი, რომლის უშუალო მოვალეობა გადასა-ხადების ამოღებაა, ამას ვამ-ბობ, ადამიანი, რომლის პასუხისმგებლობა არის, ზო-გადად, ეკონომიკის განვითარება, მათ შორის და ეკო-ნომიკური ბლოკი. მინდა, აღვნიშნო, რომ ყველამ უნდა გადაინადოს გადასახადი. როდესაც ერთი კომპანია არ იხდის გადასახადებს, ის არაკონკურენტულ გა-რემოშია და, შესაბამისად, სხვა კომპანიებისგან გან-სხვავებით, მას მეტი ფული რჩება. შესაბამისად, აქვს შესაძლებლობა, უკეთესი თანამშრომლები იქირაოს, უკეთესი ტექნიკა შეიძინოს, უკეთესი გადაცემები გა-აკეთოს, რაც, რა თქმა უნდა, არაკონკურენტულ გა-რემოს ქმნის. ეს არ ეხება კონკრეტულად „რუსთა-ვი-2“-ს, ამ შემთხვევაში, ეს ეხება, ზოგადად, მთლი-ანად გარემოს. მე ვარ დარწმუნებული, რომ „რუს-თავი-2“-თან იქნება მიღწეული გონივრული გრაფიკი გადასახდის გადახდის,“ – განაცხადა დემიტრი ქუმ-სი შვილმა „იმედის“ ეთერში.



მაღალმთიანი დასახლებების ნუსხას 37 სოფელი დაემატა



პრემიერ-მი-ნისტრ გიორგი კვიციანი შვილის განცხადებით, მა-ღალმთიანი და-სახლებების ნუს-ხას 37 სოფელი დაემატა.

„მნიშვნელოვანია, რომ მთის კანონის მიხედვით, 37 სო-ფელი დაემატა მა-ღალმთიანი დასახ-ლებების ნუსხას,

რაც იმას ნიშნავს, რომ პედაგოგები, ექიმები, პენ-სიონერები და სოციალურად დაუცველები მიიღე-ბენ დამატებით შეღავათებს, ასევე შეღავათებს მი-იღებენ კომპანიები, რომლებიც თავისუფლდებიან აღნიშნული კანონის თანახმად მთელი რიგი გადა-სახადებისგან.

2016 წლის პირველი იანვრიდან მოყოლებუ-ლი 250 კომპანიამ ისარგებლა უკვე ამ შეღავა-თებით და ვფიქრობ, რომ ეს კანონი მნიშვნელოვ-ნად შეცვლის ცხოვრების დონეს ჩვენს მთიან რე-გიონებში, არა მხოლოდ იქ მოსახლეობის დამატ-რების კუთხით, არამედ, ვფიქრობ, რომ ბევრი ადამიანი დაბრუნდება...

რას უპირებს პოროშენკო მიუხაზ?



„პოროშენკო მი-შას აფრთხილებს და აფრთხილებს მკაც-რად, სერიოზულად...

არც მოიშლება ხსენება მისი...



ლოტბარი სანდრო კავსაძე

ნიკა გვარამია: ორი წელია, უპიიავს ფინანსურ წნახში ვიყოფაბით!

„რუსთაპი-2“-ის გენერა-ლურმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ საგანგებოდ გამარ-თულ ბრიფინგზე განაცხადა:

„ძალიან უხეშად იქნა დარღვე-ული საქართველოს კანონმდებ-ლობა მინისტრის მიერ, მან გათ-ქვა ის ინფორმაცია, რომლის დაცვა პირველ რიგში მას ევალე-ბა, ეს არის კონფიდენციალური ინფორმაცია, ეს არის კანონის მიძიმე დარღვევა და ეს არის ძალიან ცუდი სიგნალი არა მხოლოდ შიდა სამეწარმეო წრეებისთვის, არა-მედ ბიზნესისთვის. ეს არის კონკურენტების სასარ-გებლოდ თამაში. რაც მინისტრმა გააკეთა, შემთხვე-ვითი არაა, რომ „იმედის“ ეთერში გააკეთა, მათ ქონ-დათ კომუნიკაცია ჩვენთან, ცდილობდნენ სიუჟეტის გაკეთებას. სახელმწიფოსა და „იმედის“ ერთობლი-ვი მოქმედებები ჯერ კიდევ არ დასრულებულა. „რუს-თავი-2“ უკვე 2 წელია, იმყოფება უმძიმეს ფინანსურ წნახში,“ – განაცხადა ნიკა გვარამიამ.



ანონსი



2017 წლის 23 ივლისს საქართველოს ძირძველ კუთხეში, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია-ში, სოფელ სვირში, ამ კუთხის მკვიდრის, მეცე-ნატ უშანგი დალალიშვი-ლის ძალისხმევით იხსნე-ბა წმინდა ნიკოლოზის ტაძარი.

საგაზეთო რეპორტაჟს სოფელ სვირიდან ჩვენი გაზეთის უახლოეს ნო-მერში შემოგთავაზებთ.

ხალხი რას არ იტყვის...

- თჯახი ისეთი კარგი რამ არის, რომ ბევრს ის ერთდროულად ორი ჰყავს.
- უკეთუ ქალბატონს ხანგრძლივად კოცნიან, რა თქმა უნდა, ის ლაქლაქა ვინმეა.
- არაფინ ცხოვრებას ისე არ ართულებს, როგორც უმარტივესი ადამიანები.
- ყველაზე მეტს ის ჯვარი იწონის, რომელიც შენ დაგადგეს.
- იმისათვის, რომ უკეთესი მხრიდან გამოეჩნდეთ, პროწიალი გვიხდება.
- ცხოვრება ერთხელ გვეძლევა და კიდევ უფრო იშვიათად გამოგვდის.
- ხან მიზანს რომ მიაღწევ, სწორედ მაშინ ხვდები, რომ მარცხი მოგივიდა.
- უბედურება ის კი არ არის, რომ ბატონები გავხდით და ერთმანეთს ბატონო-ბით მივმართავთ, არამედ ის არის, რომ ამხანაგობა აღარ შეგვიძლია.
- ვაი იმ ჩიხს, რომელსაც ლაბირინთობა არ უნდა.
- ასფალტი რომ მთავრდება, გზები ღრიალს იწყებენ.



დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრა მნიშვნელოვანია და იძლევა შესაძლებლობას, შეჯამდეს ეკონომიკაში არსებული ტენდენციები, განაცხადდეს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ეკონომიკური კონფერენციის დასრულების შემდეგ.

„ეს არის შეხვედრა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, შევაჯამოთ ჩვენი ეკონომიკის 6 თვის შედეგები, ასევე, ვისაუბროთ იმ ეკონომიკურ რეფორმებზე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, განვიხილოთ სამომავლო პერსპექტივა, კონკრეტული ნაბიჯები ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტის წახალისებისა და ხელშეწყობის მიმართულებით. შესაბამისად, ვიმსჯელოთ იმ ძირითად გზავნილებზე, რომლებზეც ჩვენმა ელჩებმა უკვე იმ ქვეყნებში დაბრუნებისას უნდა ისაუბრონ, სადაც ისინი მსახურობენ“, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრა ეკონომიკისთვისა და ენერჯეტიკის განვითარების მიზნით

როგორც მან აღნიშნა, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით და არის კონკრეტული შედეგები, ქვეყნები, საიდანაც ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები შემოდის.

„გარდა ამისა, დღეს, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანი-შვილის ინიციატივით წარმოდგენილია ახალი მოდელი, რომელშიც საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები, საპარტნიორო ფონდი ახლებურად უდგებიან ექსპორტის წახალისებას, ინვესტიციების მოზიდვას. შესაბამისად, ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს. საელჩოების ჩართვა, ასევე არის ძალიან მნიშვნელოვანი. მათი შესაძლებლობისა და პოტენციალის სრულად გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც ინვესტიციების, ისე ექსპორტის ზრდას,“ – აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

„ცინკალური რეფორმების 6 თვის შედეგების მიხედვით მაისში წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 120 მლნ ლარის რესურსი დარჩა კომპანიებში“, – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა. მისი თქმით, 2017 წლის პირველ კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა სექტორების მიხედვით შემდეგია: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 39%; ენერჯეტიკა – 13%; მშენებლობა – 10%; ფინანსური სექტორი – 8%; დამამუ-

შავებელი მრეწველობა – 7%; სასტუმრო და რესტორნები – 6.7%; უძრავი ქონება – 4%; სხვა სექტორები – 12%

ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ევროკავშირი – 27%; რუსეთი – 9.8%; თურქეთი – 8.2% ჩინეთი – 8.0%; ბულგარეთი – 7.9%; აზერბაიჯანი – 7.3%; სომხეთი – 7.1%; გერმანია – 4% სხვა ქვეყნები – 47.7%

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში სპილენძი – 15% ფეროშენადნობი – 8% თხილი – 8%; ავტომობილები – 8%; ღვინო – 5% მედიკამენტები – 5% სპირტიანი სასმელები – 4% სხვა – 46%

პირველმა ვიცე-პრემიერმა ასევე ისაუბრა, საბიუჯეტო შემოსავლების დინამიკაზე და აღნიშნა, რომ იანვარ-ინისში ნაერთი ბიუჯეტში გადასახადების სახით მოზილიზებულია 4, 748 მლნ ლარი, ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 14.2% გადასახადებმა შეადგინა – 5,841 მლნ ლარი, ზრდა წინა წელთან – 11.7%. ფისკალური რეფორმების 6 თვის შედეგების მიხედვით მაისში (პირველი სავადა), წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 120 მლნ ლარის რესურსი დარჩა კომპანიებში; ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარების მიმართულებით – ნაერთი ბიუჯეტიდან კაპიტალურ ხარჯებზე მიიმართა 1 143.8 მლნ ლარი, რაც გასული წლის მაჩვენებელს 269.7 მლნ ლარით (30.9 პროცენტით) აღემატება.

კომერციული ატაშეები 6 მიმართულაზე იმუშაებენ

„ამბასადორიალი 2017“-ის ფარგლებში თბილისში მიმდინარე ეკონომიკურ კონფერენციაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარია კომერციული ატაშეების ინსტიტუტზე ისაუბრა, რომელიც სააგენტო „ანარმე საქართველოს“ მნიშვნელოვანი კომპონენტია.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების საელჩოებში კომერციული ატაშეს ინსტიტუტი შეიქმნება. „კომერციული ატაშეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ „ანარმე საქართველოს“ ექსპორტისა და ინვესტიციების გუნდთან და იმ სტრატეგიულ სავაჭრო ქვეყნებში დაამყარებენ კავშირებს პოტენციურ ინვესტორებთან და მსხვილ შემსყიდველებთან, რომლებსაც შემდეგ სააგენტოში არსებული შესაბამისი მიმართულებების წარმომადგენლებთან დააკავშირებენ,“ – განაცხადა გიორგი გახარია.

კომერციული ატაშეების საქმიანობა დაფარავს როგორც ექსპორტის, ისე ინვესტიციების მიმართულებას. პოტენციური საექსპორტო ბაზრებისა და სექტორული პორტფელის მიხედვით იდენტიფიცირებულ პროდუქტებზე ინფორ-



მაციის შეჯამება მოხდება ქვეყნების მიხედვით. კომერციული ატაშე პასუხისმგებელი იქნება შესაბამის ქვეყანაში პოტენციური ინვესტორებისთვის საქართველოში არსებული შესაძლებლობების გაცნობაზე და ახალი ინვესტორების მოზიდვაზე. გარდა ამისა, კომერციული ატაშე ხელს უწყობს ქართველი ექსპორტიორების შედეგებს შესაბამის ბაზარზე და კონტრაქტების მოპოვებას.

მინისტრმა „ამბასადორიალი 2017“-ის ფარგლებში მიმდინარე ეკონომიკურ კონ-

ფერენციაზე გუშინ საქართველოში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო შესაძლებლობებსა და ექსპორტიორების მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებზეც ისაუბრა. კერძოდ, გიორგი გახარია კონფერენციის მონაწილეებს ე.წ. ექსპორტის სამკუთხედის მუშაობის პრინციპი გააცნო. სამკუთხედი მოიცავს სამი უწყების კოორდინირებულ მუშაობას, რომლის მიზანია ქართველი ექსპორტიორების მხარდაჭერა ბაზრებზე შედინვისა და იქ დამკვიდრების საკითხში. ეს უწყებებია: ეკონომიკის სამინისტრო, საგარეო

საქმეთა სამინისტრო და ექსპორტის საკრედიტო სააგენტო, რომელიც შეიქმნება საპარტნიორო ფონდის ქოლგის ქვეშ. გიორგი გახარია განცხადებით, აღნიშნული პროცესის ლოკომოტივია სააგენტო „ანარმე საქართველოში“, რომელსაც უშუალო შეხება აქვს ექსპორტიორ კომპანიებთან და კონკრეტული ხელშეწყობის მექანიზმები გააჩნია. „ამ სამკუთხედიდან ამოქმედებულია ყველაფერი ექსპორტის მხარდაჭერის საკრედიტო სააგენტოს გარდა, რომლის კანონმდებლობის დრაფტიც უკვე შექმნილია და უახლოეს პერიოდში ისიც ამოქმედდება“, – აღნიშნა გიორგი გახარია.

მინისტრის ინფორმაციით, ე. წ. ექსპორტის სამკუთხედის უწყებების როლში შემდეგნაირად ნაწილდება: ეკონომიკის სამინისტრო უზრუნველყოფს ექსპორტიორების ხელშეწყობას ანალიტიკური ინფორმაციით და ტექნიკური მხარდაჭერით; საგარეო საქმეთა სამინისტროს როლია საელჩოების მეშვეობით მაქსიმალური ინფორმაციის მოძიება კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა; რაც შეეხება ექსპორტის საკრედიტო სააგენტოს, როცა ის შეიქმნება, უზრუნველყოფს ექსპორტიორების წვდომას ფინანსურ რესურსებზე.

„ამბასადორიალი 2017“-ის მონაწილენი შინაგან საქმეთა სამინისტროში

შინაგან საქმეთა სამინისტროს „ამბასადორიალი 2017“-ის მონაწილეები და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მხედელ ჯანელიძე ეწვივნენ. სტუმრებს შს მინისტრმა გიორგი მღვებრიშვილმა უმასპინძლა და უწყების მაღალტექნოლოგიური და მულტიფუნქციური ერთობლივი ოპერაციების ცენტრი დაათვალიერებინა.



ერთობლივი ოპერაციების ცენტრის თანამშრომლები საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს და საქართველოს საპატიო კონსულებს ცენტრის შექმნის მიზანზე, დანიშნულებასა და ფუნქციებზე ისაუბრნენ. სტუმრები ცენტრის მუშაობის სპეციფიკას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენისა და სატრანსპორტო ნაკადების მართვის პროცესს ადგილზე გაეცნენ. შს-ს ერთობლივი ოპერაციების ცენტრი დანაშაულის პრევენციას, მომხდარ დანაშაულზე ოპერატიულ რეაგირებას, დამნაშავე პირების დროულად დადგენა-დაკავებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენასა და აღკვეთას, სატრანსპორტო ნაკადების მართვას, უტყუარი მტკიცებულებების მოპოვებას, ასევე, სამინისტროს სისტემაში მაღალი ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

პარლამენტი პაპიჯინის რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნით მიმართავს

პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად პარლამენტი პრეზიდენტს რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნით მიმართავს. საკონსტიტუციო ცვლილებებზე გიორგი მარგველაშვილის მიერ ვეტოდადებული კანონპროექტებზე სავარაუდოდ, 26 ივლისის რიგგარეშე სხდომაზე იმსჯელებენ.



პარლამენტში ბიუროს სხდომა 24 ივლისისთვის ჩაინიშნა, სადაც რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნაზე იმსჯელებენ.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი განაცხადა, რომ ვინაიდან, პრეზიდენტის ვეტო არ დადგეს დაემთხვა, რეგლამენტის გათვალისწინებით, შესაძლებლობა არსებობს, ვეტო სამომდგომო სესიაზე განიხილოს ან რიგგარეშე სხდომა მოინვიონ.

„უმრავლესობაში ამ საკითხზე კონსულტაციები იქნება, მაგრამ ვინაიდან ეს ისეთი კანონპროექტებია, რომლებიც თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდება, არ გამოვიციხავ, რომ ეს მომდევნო კვირაში მოხდეს,“ – განაცხადა კახიანი. ცნობისათვის, პარლამენტი უფლებამოსილია, სხდომა პრეზიდენტის თანხმობის გარეშე ჩაატაროს. უმრავლესობას ვეტოს დაძლევისთვის 76 დეპუტატის მობილიზაცია დასჭირდება.

ფოლკლორი მისი სულია... ცნობიერებისა და დიდი კულტურის განმსაზღვრელია...

ქართული ხალხური ხელოვნების, ფოლკლორის გულსმიერ დამცველთა და ქომატა შორის გამორჩეულია ჩვენი ეროვნული პანაგების უბადლო ოსტატი, შესანიშნავი მომღერალი და ლოტბარი სანდრო კავსაძე.

სანდრო (ალექსანდრე) გრიგოლის ძე კავსაძე დაიბადა 1874 წელს კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში, სასულიერო პირის ოჯახში. მისი წინაპრები მომღერალი-მგალობლები ყოფილან. სანდრომ ბავშვობიდანვე იგრძნო მშობლიური მელოდიის სურნელი. ეს უფრო გამძაფრდა გორის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს.



არც მოიშლება სსენება მისი...

ლოტბარი სანდრო კავსაძე

სანდრო კავსაძის მუსიკალურ შესაძლებლობებზე ისიც მეტყველებს, რომ მან ჩინებულად იცოდა ქართული საეკლესიო საგალობლები და ქალაქური სიმღერები, რამაც შესაძლებლობა მისცა, არ დაეკარგა წინაპართა მიერ გადარჩენილი და ნაანდერძები ხალხური მუსიკის ძვირფასი ნიმუშები.

რუნებულ მიხილ კავსაძეს გადააბარა, თვითონ კი სამუშაოდ წაიღოთარაში გადავიდა. 25 წლის მანძილზე იგი ტყიბულში, საჩხერეში, ჭიათურაში, ზესტაფონსა და ქუთაისში ხელმძღვანელობს მომღერალთა გუნდებს, ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას.

1935 წელს სანდრო კავსაძე თბილისში გადმოჰყავთ და მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ელტორავილი გუნდის შექმნასა და მომზადებას ავალებენ. ამ ანსამბლში ქორეოგრაფიულ ჯგუფს ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობდა.

სულ რაღაც ერთი წლის ინტენსიური და დაუღალავი მეცადინეობით სანდრომ სანაქებოდ განვრთნა ანსამბლი და 1937 წელს წარსდგა მოსკოვში მაცურებლის წინაშე.

სალამოს დაესწრო იოსებ სტალინიც. ორივე ანსამბლის გამოსვლებმა დაატყვევეს როგორც მოსკოველი, ისე ლენინგრადელი მაცურებელი. ცენტრალური პრესა აღფრთოვანებულ წერილებს უძღვნიდა ქართველ ხელოვანთა გამოსვლას.

კავსაძე ბევრს მუშაობდა საკუთარი ცოდნის გასაღრმავებლად და რეპერტუარის გასამდიდრებლად. ვირტუოზული ოსტატობით შესრულებული მისი სიმღერები ყოველთვის წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელზე.

და აი, 1896 წელს სანდრო კავსაძე თბილისში აყალიბებს პროფესიულ სახალხო ანსამბლს. რა თქმა უნდა, ეს იმ დროს დიდი მოვლენა იყო, თითქმის შეუძლებელიც კი, მაგრამ მისმა გამორჩეულმა ტალანტმა და დიდმა მონტაჟებამ ყოველგვარ სიძნელეს და წინააღმდეგობებს სძლია და სულ მალე სცენიდან უღამაზესი ქართული მელოდიები გაისმა.

გარდა გუნდის ლოტბარობისა, სანდრო კავსაძე პარალელურად თბილისის, მცხეთისა და სოფელ წინამძღვრიანთარის სკოლებში ასწავლიდა სიმღერას. მის მოსწავლეთა შორის ყოფილა მიხეილ ჯავახიშვილი. ცნობილი მწერალი საინტერესო მომენტს იგონებს საჯარო მოხილვითა და საჯარო გამოცდებში მონაწილეობის დროს.

საბერძნეთის კუნძულ კოსზე 6,7 მაგ-



ნიტუდის მინისტრის შედეგად 2 ადამიანი დაიღუბა, დაშავებულია 100-მდე მოქალაქე. „როიტერის“ ინფორმაციით, სტიქიამ ცუნამი და ნგრევა გამოიწვია. წინასწარი ვარაუდით, მსხვერპლისა და დაშავებულების რაოდენობა გაიზარდება.

თურქეთში მიწისძვრის შედეგად საქართველოს მოქალაქეები არ დაშავებულან

მუსიკატმცოდნე ზუბოვი მაშინ გაზეთ „პრავდაში“ წერდა: „კავსაძისა და პაჭკორიას ხალხური კოლექტივების ხელოვნება უნდა გახდეს მთელი საბჭოთა კავშირის კუთვნილება. ქართული ხალხური მუსიკის საუკეთესო ნიმუშები უნდა ისწავლოს ყველა ჩვენმა კომპოზიტორმა და შემსრულებელმა“.

საქვეყნო აღიარებისა და ბრწყინვალე წარმატებისთვის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სანდრო კავსაძე დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

დაეკადის დამთავრებიდან სულ მალე სანდროს უკურნებელი სენი შეეყარა და 1937 წელს გარდაიცვალა 63 წლის ასაკში. დაკრძალულია ვაკის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.

მისმა განუყრელმა მეგობარმა, ცნობილმა პოეტმა გიორგი ქუჩიშვილმა ლექსით დაიტრია დიდი ხელოვანი:

„... მშვიდობით, მნამს არ დაგიგინყებენ დაფრენილები შენი ბუდისა, და სიმღერის წინ ხალხს აუნყებენ სახელს – მიკუთვნილს შენი გუნდისას, სამშობლოვ ჩემო! დედაო-მინაჲ! შენ მიისვენე შენივე შვილი ის შენს ტრფიალში დადნა, დაინვა, როგორც ტოროლა, მზით დაფერფლილი...“



სკანდალი

„ვის ინტერესი უნდა იყოს 15 000 ოჯახის ულუკაპუროდ დაბრუნება?“

არასამთავრობო ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფცია“ ეწევა ბაზრობის საკითხთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამია მანუჩაძე აცხადებს, არჩევნებამდე ე.წ. „ელიავას“ ბაზრობის ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის გაშენებასთან დაკავშირებით წარდგენილი გეგმის ძალაში შესვლა იგეგმება.



ყოველწლიურად შედის 240 000 000 ლარი. გოგი სულაბერიძის მიერ წარმოდგენილ პროექტში დაფიქსირებული იყო მიზანშეწონილი გეგმა, რომლის თანახმადაც, ფართის მეპატრონეები თავად ააშენებდნენ თანამედროვე სავაჭრო ცენტრს. აქ იქნებოდა ეტაპობრივად აშენებული 4-სართულიანი შენობები, გამწვანების ზონა შენობების სახურავებზე და გასართობი და მოსასვენებელი ადგილები. საყურადღებოა, რომ ბაზრობის ჭაობიანი და საშენი მასალის ნარჩენების ჩაყრით გამაგრებული ნიადაგი არ იყო მიჩნეული ხელსაყრელად რეკრეაციული ზონისათვის, თუმცა დღეს გაურკვეველი მიზეზით შეიცვალა სურათი და საინტერესოა, ვისი ინტერესები იჩენს ამის მიღმა თავს. კიდევ ერთი დეტალი: სულაბერიძის პროექტის განხორციელება 100 000 000 ლარს საჭიროებდა. ამ პროექტში მონაწილეობას გეგმავდნენ ფართის მეპატრონეები, რაც სერიოზული შედეგით იქნებოდა ბიუჯეტისათვის, მაშინ, როდესაც „ელიავას“ რეკრეაციული ზონად გარდაქმნისათვის მხოლოდ მიწის შეტანა სახელმწიფოს 85 000 000 დაუჯდება. ფიქრობთ, მხოლოდ პრიორიტეტების განუსაზღვრელობაშია აქ საქმე? საგულისხმოა, რომ არჩევნებამდე სამი თვით ადრე თბილისის მერია მზად არის, გადაადგას არაპოპულარული ნაბიჯი, რათა დაამტკიცოს თავისი გეგმა, იმის მიუხედავად, რომ 15 000 ადამიანის ოჯახს ტოვებს ულუკაპუროდ. გარდამავალ პერიოდში ასეთი პროექტის დამტკიცება გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ შემდგომი მოვლენები განვითარდება გადაბრალების რეჟიმში და პასუხისმგებელი არ იქნება არც ძველი და არც ახალი ხელისუფლება“ – აცხადებს ქეთევან ენუქიძე.



გამოსათხოვარი

უოთა ლუკაძე

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენი კლასელის უოთა ლუკაძის გარდაცვალების გამო. უოთა გამოირჩეოდა ვაჟკაცობით, თავმდაბლობით, გულისხმიერებით. სარგებლობდა მის ირგვლივ მყოფი ადამიანების პატივისცემითა და დიდი სიყვარულით.



წალენჯიხის რაიონის | საშუალო სკოლის 1965 წლის გამოსვლა

ვალერი ჭანტურია ოჯახით უდიდესი გულსტიკილით აუწყებს საზოგადოებრიობას, რომ გარდაცვალება უახლოესი მეგობარი, ცნობილი ინჟინერ-მშენებელი, ახლო წარსულში მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელი, ადამიანური ღირსებებით შემკობილი პიროვნება, აღიარებული ოჯახის შვილი

უოთა ვარლამის ქე ლუკაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, დებსა და მთელ სანათესავოს.

ღრმა მწუხარებით ვუსამძიმრებთ ოჯახს უოთა ლუკაძეს გარდაცვალებას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. დავით მამარლაშვილი

ვაკიბაფია

ბიორბი შონია



შონიების საგვარეულო კავშირი მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა ბიორბი (შორბ) შონია, გალის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პიროვნება და მოღვაწე. იგი დაიბადა 1926 წელს გალში. გიორგი (ჟორა) შონიების საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელია. იგი თავისი მოქალაქეობრივი ცნობიერებით და საზოგადოებრივი მოღვაწეობით საინტერესოდ უმშვენებდა გვერდს ძმებს - ასევე კარგად ცნობილ პიროვნებებს და მოღვაწეებს - ბორის (ყილინი) და აპოლონ (შახი) შონიებს.

რეკლამა საქართველოს რესპუბლიკაში სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „კითხი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვლადიმერ ღონაძის და ლეილა თაბაგარის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

- უძრავი ნივთის მესაკუთრე: ვლადიმერ ღონაძე (პ/ნ 01022003881), თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ, ბინა №2; უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი გონიო (საკადასტრო კოდი: 05.36.25.582). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
- უძრავი ნივთის მესაკუთრე: ლეილა თაბაგარი (პ/ნ 01008004926), თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №39, ბინა №13; უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №39, ცოკოლის სართული, 24.25კვმ. (საკადასტრო კოდი: 01.14.14.002.018.01.511). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
- უძრავი ნივთის მესაკუთრე: ლეილა თაბაგარი (პ/ნ 01008004926), თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №39, ბინა №13; უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №39, ცოკოლის სართული, 34.20კვმ. (საკადასტრო კოდი: 01.14.14.002.018.01.514). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
- უძრავი ნივთების საწყისი ფასი: 650225.46 ლარი;
- უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა: უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
- აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 10 აგვისტო, 12:00 საათი;
- აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
- მოვალე: ს/ს „ჰიდროსაინჟინრო კომპანია“ (ს/ნ 205240960), თბილისი, სანდრო ეულის ქ. №1; ივანე თაბაგარი (პ/ნ 01008004118), თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №39, ბინა №3.
- აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
- აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „კითხი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლინგი“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „კითხი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 10 აგვისტოს 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

იდეალური ადგილისა და იდეალური სვამოს დიდებული „სინთეზი“

თბილისის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი, რომელიც ყველამ აუცილებლად უნდა ნახოს, საქართველოს ეროვნული ბანკის აკადემია სწორედ ამ ულამაზეს, გრილ და სასიამოვნო ადგილას გაიმართა ქართველი დიზაინერის **თინათინ მაღალაშვილის** საქველმოქმედო ჩვენება.

მოდით, მივხედოთ თავად თინათინს მოფუსმინოთ.

როგორია თქვენი კოლექციის ინსპირაცია?

პირველ რიგში, მოხარული ვარ, რომ ჩემი კოლექცია ამ ულამაზეს ადგილას იქნება წარმოდგენილი და უამრავი ადამიანი შეიტყობს ამ სილამაზის შესახებ. რაც შეეხება ჩვენებასა და თავად კოლექციას, სპეციალურად დავარქვი „სინთეზი“, რადგან მინდოდა, წარმოედგინა ხელოვნებისა და ბუნების შერწყმა, ბუნების ფონზე მეჩვენებინა ლამაზი ქალი ლამაზ სამოსში.

რა შეგიძლიათ გვითხროთ დღევანდელი კოლექციაზე?

ჩვეულებრივ, სეზონურ კოლექციას ვაკეთებ და დღეს შესაბამისად ზაფხულის

კოლექცია იქნება წარმოდგენილი. ძირითადად ფერადი შიფონია გამოყენებული, რაც კარგად განწყობას ქმნის, მით უმეტეს ზაფხულში.

როგორი სტილის ქალბატონებისთვის იქნება თქვენი კოლექცია?

ეს ქალის კოლექციაა და ნებისმიერ ქალს შეუძლია მოირგოს ჩემი ტანსაცმელი. ჩვენი მოდის სახლი კერავს როგორც მაღალი მოდის კვირეულის ნიმუშებს, ასევე მეორე ხაზის ტანსაცმელს, დღეს სწორედ მეორე ხაზის ტანსაცმელია წარმოდგენილი, რომელიც ახლახან ჩავუსთო კოლექციაში.

რეპრეზენტაციის დანაშაულები ერთ-ერთ მონაწილეს, რადიო და ტელენამყვან მარგო ლუჩვოს გავესაუბრე.

სწორედ ხართ თინათინის ჩვენების მონაწილე?

თინათინი ჩემი მეგობარია. ასეთ კარგი იდეას, მით უმეტეს ასეთ ადგილას ნამდვილად დავთანხმდებოდი. მისარია მისი წარმატება და მინდა ვიყო ამ წარმატების მცირე ნაწილი მაინც.

მომავალში თუ აპირებთ დიზაინერთან თანამშრომლობას და გაქვთ საერთო გეგმები?

ჯერჯერობით თინათინის გეგმები არ ვიცი. მისი კოლექციის მომხმარებელი ვარ, ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი დიზაინერია ჩემთვის, აუცილებლად ვითანამშრომლებ მასთან.

სალამოს მუსიკალურ განწყობაზე ნუცა შანშიაშვილი, თემურ ნიკლაურმა, რუსკა სერგიამ და ქეთი ფარესაშვილი იზრუნეს.

ქეთი, რას წარადგენთ დღეს და

როგორი წარმოდგენილია დღევანდელი საღამო?

გარდა სიმღერისა, დღეს თინათინის ერთ-ერთ ულამაზეს კაბას წარვადგენ. ძალიან ლამაზია ბოტანიკური ბალი, სიმშვიდეა, ამინდიც ხელს გვიწყობს, საღამო იდეალური იქნება. ეს ერთ-ერთი ხელსაყრელი ადგილია ლამაზი ღონისძიებების ჩასატარებლად.


თქვენი და თინათინის სამომავლო გეგმები...

არის რაღაც გეგმები, რის განხორციელებასაც ვაპირებთ, თუმცა, ამის შესახებ ჯერ არ ვსაუბრობთ. საზოგადოება გაიტვებს ყველაფერს, როცა ამის დრო მოვა.

სალამომ იდეალურად ჩაიარა, მით უმეტეს რომ გარემოც ხელს უწყობდა... დიდებული მუსიკა და ლამაზი კოლექცია არაჩვეულებრივი ხედების ფონზე.

როდესაც ადგილი ზუსტად გაქვს შერჩეული, ნებისმიერი საღამო წარმატებით და რაც მთავარია, სტუმართა კმაყოფილებით სრულდება.

მარიამ რურუა



ნიუ ჯარსიოი ტყე იხის

2 დღის წინ ნიუ ჯარსიოი ტყის მასივში გაჩენილი ხანძარი ათასი აკრის ფართობს ახადგურა. ცეცხლის გავრცელებას ხელს ძლიერი ქარი და გვალვისგან გამომშრალი ნიადაგიც უწყობს. ხანძრის ჩაქრობას 50-მდე სახანძრო ჯგუფი ავიაციის დახმარებით ცდილობს.

ნიგტონმა სავარაუდოდ თავი მოიკლა.

ცხედარს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა. ბენინგტონმა თავი მოიკლა მეგობრის, ჯგუფ soundgarden-ის ლიდერის, კრის ორნელის დაბადების დღეზე, რომელმაც სიცოცხლე ასევე თვითმკვლელობით დაასრულა.

კყავდა თუ არა შვილი სალვა-დორ დალის?

მამობის დადგენის მიზნით, ესპანელი მხატვრის ნეშტის ექსპურტიზა უკვე განხორციელდა.

კატალონიელმა მარიამ პილარ აბელ მარტინესმა სასამართლოს 2007 წელს მიმართა, მისი მტკიცებით, ის სალვადორ დალის ბიოლოგიური შვილია. მადრიდელმა მოსამართლემ მხატვრის ექსპურტიზის შესახებ კატალონიელი ქალის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

სალვადორ დალი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. როგორც ცნობილია, მას შვილი არ ჰყოლია.

ე.წ. კუტინის საათი აუქციონზე გაიყიდა

მონაქიმში ანტიკვარიატის აუქციონზე ე.წ. პუტინის მაჯის საათი გაიყიდა. უცნობმა კოლექციონერმა მასში მილიონ 54 ათასი ევრო გადაიხადა. პლატინის კორპუსიანი უძვირფასესი საათის საგარანტიო წერილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინზე არის რეგისტრირებული. არც ყოფილი და არც ახლანდელი მფლობელის ნამდვილ ვინაობას აუქციონის ორგანიზატორები არ ავრცელებენ. იმას, რომ საათი შესაძლოა რუსეთის პრეზიდენტის საკუთრება ყოფილიყო, არც კრემლის პრეს-მდივანი დიმიტრი პესკოვი ადასტურებს.

LINKIN PARK-ის სოლისტმა თავი მოიკლა

ცნობილი ამერიკული ჯგუფის, Linkin Park-ის სოლისტი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. 41 წლის ჩესტერ ბენკსონმა დააკმაყოფილა.

ადგილობრივი მთავრობისა და დალის სახელობის ფონდის წარმომადგენლები დალის ნეშტის ექსპურტიზის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რადგან მიიჩნევენ რომ კატალონიელი ქალის მხატვართან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს. მიუხედავად ამისა, 20 ივ-

შვილია, მაშინ კატალონიელ ქალს მხატვრის გვარზე გადასვლის და მის ნამუშევრებზე საავტორო უფლებების მოთხოვნა შეეძლება. ამ უფლებებს ახლა ნაწილობრივ ესპანეთის სახელმწიფო ფლობს.

სალვადორ დალი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. როგორც ცნობილია, მას შვილი არ ჰყოლია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
საბარტაკ ძოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანადგომი“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესი“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუსილებლად წაიკითხა!

	<p>რედაქციის კონტაქტი: აკადემიის გამზ. 102 - თბილისი 23995; 27621; ბრეტანული გამზ. 102 - თბილისი 31078; 100 რუბლი - 40621; თბილისი ლიზა - 0.6784; აკადემიის გამზ. 102 - თბილისი 1.4223; 1000 სოფ. ღვინა - 5.0157.</p>	<p>ავტორთა კონტაქტი: აკადემიის გამზ. 102 - თბილისი 23995; 27621; ბრეტანული გამზ. 102 - თბილისი 31078; 100 რუბლი - 40621; თბილისი ლიზა - 0.6784; აკადემიის გამზ. 102 - თბილისი 1.4223; 1000 სოფ. ღვინა - 5.0157.</p>	<p>ავტორთა კონტაქტი: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge</p>
--	--	--	---